

აკაკი თერგორის სახელმიწო უნივერსიტეტი
UNIVERSITÉ D'ÉTAT AKAKI TSÉRÉTÉLI

ფრანგულობის როგორც
კულტურათა დიალოგი

სამეცნიერო კონფერენციის გასაღები

**LA FRANCOPHONIE COMME LE
DIALOGUE ENTRE CULTURES**

Actes de conférence scientifique

ძეგლები პერიოდი და თარგმანი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერიულტურული კომუნიკაცია და თარგმანი

დღევანდელი სამყარო დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესებთან. ეს უკანასკნელი წარმოუდგენელია სხვა ენებთან და კულტურებთან კავშირის გარეშე. ენები მუდმივ კონტაქტში იმყოფება. ენათა კონტაქტი ეს კულტურათა კონტაქტიცაა.

უცხო ენათა სწავლებისას აუცილებელია კულტურათა შორის განსხვავების აღიარება და მათ პატივისცემა. ბოლო დროს ძლიან ძვრებს საუკრობებრივი ინტერკულტურული მისათან დაკავშირებით მარტინ აბდალავ პრეტესილი ინტერკულტურულს გამსაზღვრავს როგორც ისეთ წამონაქმნს, რომელსაც უნარი შესწევს ხელი შეუწყოს სოციალური და აღმზრდელობითი პროცესებს გაგდეს კულტურულ მრავალფეროვნებასთან კავშირში. (მარტინ აბდალავ პრეტესილი, 1992:36-37). ეს ტერმინი მოტივირებულია და თვითონ ამ სიტყვის გამოყენება გულისხმობს აუცილებლად ურთიერთგაცვლას, ბარიერების მოშლას და ქრისტიანული სოლიდარობას.

თარგმანი გულისხმობს თავისთვავად ენათა კონტაქტს. ენის ცოდნის ძალიან მაღალ დონეს და შესაბამისად სხვადასხვა სფეროში ტერმინოლოგიის ცოდნას, რომლის გარეშე შეუძლებელია კარგი თარგმანის შესრულება, რაც ასე გავაკლია ამ ბოლო დროს. თარგმანი გულისხმობს როგორც უცხო, ისე მშობლიური ენის კარგ ცოდნას.

იმისათვის, რომ კარგად თარგმნო, უნდა გააუმჯობესოთ როგორც მშობლიური ენის ისე, ფრანგული ენის ხარისხი. კოლეგი ლაპლასი გვთავაზობს რამდენიმე ჩევას, რომლებიც დაგვეხმარება მშობლიური ენის ხარისხის გაუმჯობესებაში (ლაპლასი, 1995:15-19).

* იკითხეთ კლასიკური ნაწარმოებები. კითხვა უნდა განიჭებდეთ სიამონებას. ჩაინიშნეთ წიგნის ბოლოს საინტერესო სიტყვები და გამოთქმები. იკითხეთ ასევე ლექსი.

- იყავით ყველაფრის მიმართ ცნობისმოყვარე და იკითხეთ ყველა სფეროში. არ გამოიყენოთ კალკირებული ფორმები, როგორც მშობლიური, ისე უცხო ენაში.

- მისწერეთ საკუთარ თავს ისეთი თემების შესახებ, რაც ყველაზე მეტად გადელვებთ, ანდა მისწერეთ მეგობრებს.

- მისწერეთ დახვენით ზეპირმეტყველება, ვინაიდან ისე არ მშობლივებთ, როგორც ვწერთ. წარმოიდგინეთ ფიტიური ინტერვიუს სიტუაციები.

- ნებისმიერ სიტუაციაში იყავით ყურადღებით! ნებისმიერ საუბარს, სატელევიზიო თუ რადიო გადაცემას თან ახლავს გაუგებარი სიტყვები. თუ გივართ ტელევიზორის ყურება, უყურეთ მას კრიტიკული თვალით. არ უყუროთ მას პასიურად, არამედ სწრაფად მოახდინეთ რეაგირება შეცდომებზე და თქვენთვის თქვით ის სწორი ფორმა, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

- დროდადრო გადახედეთ განმარტებით ლესიკონს, ანდა გრამატიკის სახელმძღვანელოებს.

- აუცილებელია იყოთ აქტიური, პროფესიულად აქტიური. იკითხოთ პრესა, უყუროთ ტელევიზორს, იაროთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და უსმინოთ სტუდენტების მეტყველებას.

- დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ ასევე უცხო ენის სრულყოფას საზღვარგარეთ ყოფნის დროს. ჩნდება რამდენიმე კითხვა. ამ კითხებზე პასუხს სცემს ტატიანა გოუენმოსი (გოუენმოსი 1995:101):

რა პრობლემები იჩენს თავს უცხო ენის შემთხვევაში? როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები?

- ძლიერი უცხო აქცენტი.
- სურვილი თარგმნი უცხო ენაზე მშობლიური ენის სიტყვები და გამოთქმები.
- ენის მატარებელთა კულტურისა და წეს-ჩვეულებების არ ცოდნა.
- სხვადასხვა გამოთქმების, ანდაზების, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ციტატების, ფრაზეოლოგიზმების და ა.შ. არცოდნა ან მათი გადაჭარბებული გამოყენება.
- სხვადასხვა ტერმინოლოგიის არცოდნა (იურიდიული, მუსიკალური თუ ტერნიკური და ა.შ.).
- არ შეიძლება წარმოთქვათ მშობლიური ენის საკუთარი სახელვები ყოველგვარი უცხო წარმოთქმის მინიჭების გარეშე.

• არ შეიძლება მშობლიური ენიდან პირდაპირ გადათარგმნოდ ზოგიერთი გამოთქმა. უნდა ვიცოდეთ როგორ ვთქვათ ისინი უცხო ენაზე.

• არ შეიძლება გამოვიყენოთ ფრაზეოლოგიზმები ისე, რომ არ ვიყოთ დარწმუნებული მათ სისწორეში.

• არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ ენის სხვადასხვა რეგისტრი, გადამეტებულად გამოვიყენოთ უარგონული თუ უნმანური სიტყვები.

უცხო ენის სრულყოფისათვის უნდა დაცულ იქნას ზოგიერთი, აუცილებელი პრინციპი:

• არასოდეს არ ვიკითხოთ თუ როგორ ითარგმნება ესა თუ ის გამოთქმა ან სიტყვა უცხო ენაზე, მივაქციოთ ყურადღება თუ როგორ იტყოდა მას უცხოელი მოცემულ სიტუაციაში.

• უნდა იყოთ ძალიან ყურადღებით ენის მატარებლებთან საუბრის დროს, შეარჩიოთ გარემოება და არ უცადოთ ზეპირად ისწავლოთ გავონილი გამოთქმები ან თარგმნოთ გუნდპაში მშობლიურ ენაზე, არამედ ეცადეთ ისინი დაიმახსოვროთ კონტექსტში, სიტუაციაში.

• სთხოვეთ ენის მატარებლებს შეგისწორონ შეცდომები საუბრის დროს. გაიმეორეთ სწორი ფორმა, რათა ზეპირად დაიმახსოვროთ ჯერ მელოდიკა, შემდგომ კი ლექსიკა.

• თუ ვერ პოულობთ ზუსტ შესატყვისს, მთლიანად მოახდინეთ წინადადების გარდაქმნა და შემდგომ იკითხეთ თუ როგორ იქნება იგი უცხო ენაზე.

• ყოველი უცხო სიტყვა თუ გამოთქმა ახსენით უცხო ენაზე, არ დაკმაყოფილდეთ მათი მხოლოდ მშობლიურ ენაზე თარგმნით.

• გამოიყენეთ უცხო ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. დაივინყეთ სიმორცხვე, მონანილებაბა მიიღეთ თქვენთვის უცხო თემის განხილვაში, ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ ბანალური ყოველდღიური საუბრებით, ივარჯიშეთ ჯერ ისეთ საკითხებზე მსჯელობით, რომლებიც თქვენთვის ნაცნობია, შემდეგ გადადით ფილმების რეზიუმეზე, სატელევიზიო გადაცემებზე, ნაკითხულ სტატიებზე, ამა თუ იმ მოვლენებზე და სხვა.

• ჯგუფური მუშაობის დროს განიხილეთ ყველა ტიპის თემები: ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტიკური, ასევე სპორტი,

, არქიტექტურა, მებალეობა, სამზარეულოს რეცეპტები და სხვა.

• მოამზადეთ უცხო ენაზე სტატიების რეზიუმები, შეეცადეთ ისინი არ თარგმნოთ ქართულად.

• იყარჯიშეთ იმაში, რომ გადმოსცეთ ლექციისა და კრების მოკლე შინაარსი, წერილობითაც კი.

• აუხსენით უცხოელს სტატიის ან რომანის მოკლე შინაარსი და თან სთხოვეთ გაგაჩეროთ, როდესაც ის ვერ გაიგებს თუ რას აქტობრ.

• იყითხეთ ხმამაღლა ენის მატარებლის თანდასწრებით: სტატიები უურნალებიდან, რომანები, ლექსები და სხვა.

• გაიმეორეთ ზედიზედ ორი ან საში წინადადება ტელევიზორში ან რადიოში წარმოთქმული, ისე, რომ ზეპირად არ დაიმახსოვროთ, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ მელოდიკას და წინადადების შესულობას.

• შეეცადეთ თქვათ ერთი და იგივე რამ უცხო ენაზე ისეთი სახით, რომ ენის რეგისტრი სხვადასხვა იყოს. უცხო სიტყვა დაიმახსოვრეთ მხოლოდ კონტექსტში.

• შეეცადეთ თარგმნოთ ქართულად სასაცილო ამბები, ანგადოტები. გამოიყენეთ უცხო ენა, რომ გამოიწვიოთ ენის მატარებელთა რეაქცია. იყავით კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ, შეასწორეთ საკუთარი შეცდომები.

• მიბაძეთ უცხოელთა ინტონაციას, დისკუსიის მელოდიკას, მიაქციეთ ყურადღება, თუ როგორ სვამენ უცხოელები შეკითხვას, როგორ დაიპენ თუ როგორ გამოხატავენ მოწონებას, როგორ მიმართავენ სხვას, რა მიმიკას და რა უქაჩებს იყენებენ, მოახდინეთ ყოველივეს ანალიზი.

• იკითხეთ ლექსები და თუ სურვილი გაქვთ დაისწავლეთ ზეპირად უცხოური ლექსები და სიმღერები.

• გამოიყენეთ კონტექსტი. ტექნიკური ტერმინი კი არ დაიზეპიროთ არამედ გამოიყენეთ მაშინვე კონტექსტში.

• აზრი გამოთქვით მარტივი წინადადებით, განსაკუთრებით დასაწყისში, რათა თქვენი ნათქვამი გასაგები იყოს და არ გამოიწვიოს ლიმილი ან სიცილი.

• ისაუბრეთ აუცილებლად ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, ყველა პროფესიის ადამიანთან. გამოყავით გამოყენებული გამოთქმები.

• დიდი ყურადღება გამოიჩინეთ ტელეფონზე საუბრის დროს, განსაკუთრებით ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრის დროს, წერილების წერისას ანდა ანეტების შექვების დროს და სხვა.

• იქნიეთ დღიური და შეავსეთ უცხო ენაზე, აღწერეთ თავს გადამხდარი სიტუაციები.

• ხმამაღლა გააკეთეთ კომენტარი იმისა, რის გავთებასაც პირებთ. მაგალითად: "ვჯდები მეტროში, ვსაუზმობ, პურის ყიდვა არ დამავიწყდეს" და ა.შ.

• არ დაკმაყოფილდეთ ნასწავლი სიტყვებისა და გამოთქმების მხოლოდ გამეორებით, ყოველთვის სიტუაციაში გამოიყენეთ, გამოყავით ყველა შესაძლო ვარიანტი და მასზე პასუხის გაცემის ხერხები.

• ითვალეთ ყოველთვის უცხო ენაზე, როცა კი ამის საშუალება გვექნებათ.

უნდა გახსოვდეთ, რომ უცხო ენას სწავლობენ და სრულყოფენ არა აბსარაქტულად, არამედ მაქსიმალურად შესაძლო სიტყვაცაში. ყოველთვის იმოქმედეთ და ისაუბრეთ უცხო ენაზე, ნუ გამოიყენეთ მშობლიურ ენას საზღვარგარეთ ყოფნისას თუკი ეს აუცილებელი არ არის.

და ბოლოს, ყველაფერი რაც ზემოთ ითქვა, საჭიროა იმისათვის, რომ სრულყოთ როგორც მშობლიური, ისე უცხო ენა. იმ სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ სხვადასხვა ქვეყნების კულტურები ერთმანეთს უახლოვდება. თარგმანის როლი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაცნობიერებული. მისი ამოცანაა უზრუნველყოს ეროვნული ენებისა და კულტურების მარადისობა. მთარგმნელი თუ თარჯიმანი გახლავთ მსოფლიოში არსებულ კულტურათა დამცველი და გამავრცელებელი. ამ როლის ნარჩატებით შესრულება მას შეუძლია მხოლოდ სპეციალური მომზადების მეშვეობით, რომლის აუცილებელი პირობაა გამსაკუთრებული ნიჭი, რომლის გარეშეც ამ პროფესიაზე საუბარიც კი ზედმეტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჯაში, ქ. ჯაში « თარგმნის ტექნიკა », Lingua Plus, 2003.
2. Abdallah-Pretceille, M. Quelle école pour quelle intégration ?, Paris, Hachette, 1992
3. Canut, C. Contacts de langues en Francophonie, 2006
4. Carlo de, M., L'Interculturel, CLE International, 1998

5. Gogenmos, T., Comment perfectionner son français « B » lors d'un séjour en France, in Comment perfectionner ses connaissances linguistiques, Polycopié de l'Association des Amis de l'ESIT, avril 1995

6. Laplace, C., Comment entretenir et améliorer la qualité de sa langue maternelle, in Comment perfectionner ses connaissances linguistiques, Polycopié de l'Association des Amis de l'ESIT, avril 1995.

Kétévane Djachy

La traduction et la communication interculturelle

Résumé

Le présent article est consacré à l'étude du phénomène de la traduction et la communication interculturelle. L'auteur tâche de décrire les difficultés que surviennent dans une rencontre interculturelle des groupes, le premier diagnostic généralement avancé est celui des difficultés de compréhension linguistique, comment apprécier l'importance respective des variations individuelles, culturelles, linguistiques, nationales. L'auteur montre comment s'articulent les trois approches contenues dans la problématique : le problème linguistique, la question nationale et la situation groupale sous l'aspect privilégié du pouvoir. L'intention de l'auteur est de montrer que pour apprendre et parler bien la langue étrangère, il faut toujours améliorer la connaissance de la langue maternelle et avoir la compétence linguistique. En effet, l'idée du succès total de la traduction est contredite par l'entreprise traductrice, qui la situe hors d'atteinte. Pour des raisons linguistiques (la structure spécifique de la langue, la lexicalisation différente des zones conceptuelles, les registres de langue, etc.) et extra-linguistiques (les éléments spécifiques du contexte culturel), le traducteur n'aboutit pas à rendre le texte source tel que la conception idéale de la traduction. Il y a toujours des pertes inévitables, mais il y a aussi des techniques de récupération. Grâce à l'expérience, au talent, à la compétence, le traducteur parvient à balancer les pertes et à les rendre d'une autre façon, les compensant à un certain endroit, par certaines techniques. Ce qui compte, c'est le résultat.